



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 516/ს
03/10/2023

516-21-4-202310031043



**მარნეულის მუნიციპალიტეტში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“
220/110 კვ მარნეულის ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე
სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ.**

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა მარნეულის მუნიციპალიტეტში 220/110 კვ მარნეულის ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2015 წლის 15 ივლისს, მარნეულის მუნიციპალიტეტში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 220/110 კვ მარნეულის ქვესადგურის გაფართოების (500 კვ ფრთით) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №33 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. 2021 წლის 29 იანვარს, აღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-129).

სკრინინგის განცხადების თანახმად, ქვესადგური მდებარეობს მარნეულის მუნიციპალიტეტში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 83.20.01.466; ფართობი 61 689 მ²). საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-486397.3, Y-4594351.5; X-486392.42, Y-4594349.6; X-486391.31, Y-4594352.45; X-486344.01, Y-4594334.03; X-486340.38, Y-4594343.34; X-486392.56, Y-4594363.67; X-486396.19, Y-4594354.35. ქვესადგურის ტერიტორია ანთროპოგენური ზემოქმედების ქვეშაა და მის გარშემო განთავსებულია სხვადასხვა პროფილის საწარმოები. უახლოესი საცხოვრებელი სახლი ქვესადგურის ტერიტორიიდან დაშორებულია 1.47 კმ-ით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. აგბურუნი (მშრალი ხევი) დაშორებულია 1 კმ-ით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია ქვესადგურის ტერიტორიაზე არსებულ 110 კვ ძაბვის ღია გამანაწილებელ მოწყობილობაში ერთი სახაზო უჯრედის მოწყობა. საპროექტო უჯრედი დაკომპლექტდება ახალი მოწყობილობებითა და აპარატურით,

კერძოდ, 1 კომპლექტი ელგაზური ამომრთველით, 3 კომპლექტი სამპოლუსა გამთიშველით, 1 კომპლექტი დიაგონალური გამთიშველით, 1 კომპლექტი (3 ცალი) დენის ტრანსფორმატორით, 1 კომპლექტი (3 ცალი) ძაბვის ტრანსფორმატორით, 1 კომპლექტი (3 ცალი) ძაბვის აწევის შემზღვეველით. დიაგონალურ გამთიშველთან მოეწყობა 3 ცალი საყრდენი იზოლატორი. სახაზო უჯრედის ასალტვა და ჩამოშვებები შესრულდება „AC-400/51“ ტიპის სადენით. 110 კვ ძაბვის საპროექტო უჯრედის საკონტროლო კაბელების შესაკრებად და სარელო დაცვისა და აღრიცხვის მოწყობილობებამდე მისაყვანად, ქვესადგურის ტერიტორიაზე მოეწყობა მიწისზედა ანაკრები, რკინაბეტონის საკაბელო ღარები (500X2000მმ და 1000X2000 მმ), რომლებიც მიუერთდება არსებულ საკაბელო ღარებს. 110 კვ ძაბვის საპროექტო უჯრედში გათვალისწინებული მოწყობილობებიდან საკონტროლო კაბელების ჩამოსასვლელად და საკაბელო ღარებამდე მისაყვანად, გამოყენებული იქნება პლასტმასის გოფირებული მილი (Ø63მმ). საპროექტო უჯრედისთვის მოეწყობა დამცავი დამიწება ზოლოვანი ფოლადით (50X5 მმ), რომელიც მიუერთდება არსებულ დამიწების კონტურს. საპროექტო სახაზო უჯრედის მოწყობის შემდეგ, მოხდება მისი მომანდაკება საშუალო ფრაქციის (სისქე – 15-20 სმ) ღორღის საფარით. საპროექტო უჯრედისთვის მოეწყობა საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძი, სადაც განთავსდება აღრიცხვის ახალი მოწყობილობები და წრედები. აღრიცხვის კვანძი განთავსდება შესაბამის კარადაში/სათავსოში. მრიცხველის კარადა და მასში შემავალი კაბელების ეკრანები იქნება დამიწებული.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ჩატარების პერიოდში ატმოსფერულ ჰაერზე და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ სამშენებლო ტექნიკის (ექსკავატორი, ამწე და თვითმცლელი) მუშაობის და ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილისა (1.47 კმ) და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების მასშტაბის გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერზე და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გატარდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები: მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა; ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარეების დაცვა; სამშენებლო მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვის სიმაღლის კონტროლი და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში არსებულ ქვესადგურში მოეწყობა მხოლოდ ერთი სახაზო უჯრედი, შესაბამისი პირველადი ელექტრო მოწყობილობებით. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსაწყობ სახაზო უჯრედში ზეთიანი ტრანსფორმატორის განთავსება გათვალისწინებული არ არის.

ამასთან, ქვესადგურის ტერიტორიის ფარგლებში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებით დადგინდა, რომ 6 მეტრ სიღრმემდე გრუნტის წყლები არ ფიქსირდება. გარდა ამისა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო სახაზო უჯრედის განთავსების ადგილიდან, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. აგბურუნი, დაშორებულია დაახლოებით 1 კმ-ით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით დაგეგმილი საპროექტო სახაზო უჯრედის მოწყობა გათვალისწინებულია არსებული ქვესადგურის ანთროპოგენურად სახეცვლილ ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი, წარმოდგენილი არ არის. საპროექტო ტერიტორიაზე არ გვხვდება ცხოველთა საბინადრო ადგილები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მარნეულის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბის, ადგილმდებარეობისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, მოსალოდნელი არ არის არსებული გარემოს ფონური მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილება.


ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 220/110 კვ მარნეულის ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 29 იანვარს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-129) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და მარნეულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ შარაშიძე



სააგენტოს უფროსი - მ.შ.
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

